# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 401

30 ოქტომბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ენათმეცნიერი ლეო კვაჭაძის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ენათმეცნიერის, ქართული ენისა და მისი სწავლების მეთოდიკის მკვლევარი ლეო კვაჭაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გახორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_474187.5057
Y_ 4622372.3235
ლადო კავსაძის ქუჩა
X_478972.5126
Y_ 4620493.2959